განკარგულება:**g-47. 4724334001**
თარიღი:**29/11/2024**

განკარგულება N47

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2024-2025 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2024-2025 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა №4.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი